„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი _____ აკაკი იაშვილი

„09“ 01 2023 წ.

საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში
”ნანა იოსელიანის თასი-2023”

25 - 28 იანვარი 2023 წ.

ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები:

2.1. ღია ტურნირი;

2.2. ქალთა ტურნირი.

3. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. სათამაშო წესები:

4.1. დროის კონტროლი: 15 წუთი პარტიის ბოლომდე, 10 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.

4.3. დაითვლება ფიდეს რეიტინგი სწრაფ ჭადრაკში.

5. მონაწილენი და რეგისტრაცია:

5.1. ჩემპიონატში დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები.

5.2. ღია ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა. კლასიკურ ჭადრაკში ფიდეს აქტიური რეიტინგის 2400 და მეტის მქონე მოჭადრაკეებს (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით);

ბ. ფიდეს საერთაშორისო წოდების (GM, IM, FM) მქონე აქტიურ მოჭადრაკეებს;

გ. 2022 წლის მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული და კადეტთა ჩემპიონატებზე 1-5 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;

დ. საქართველოს 20 წლამდე ჭაბუკთა შორის კლასიკურ ჭადრაკში საუკეთესო ფიდეს აქტიური რეიტინგის მქონე 1-5 მოჭადრაკეს (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

5.3. ქალთა ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა. კლასიკურ ჭადრაკში ფიდეს აქტიური რეიტინგის 2300 და მეტის მქონე მოჭადრაკეებს (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით);

ბ. ფიდეს საერთაშორისო წოდების (GM, WGM, IM, WIM, FM, WFM) მქონე აქტიურ მოჭადრაკეებს;

გ. 2022 წლის მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული და კადეტთა ჩემპიონატებზე 1-5 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;

დ. საქართველოს 20 წლამდე გოგონათა შორის კლასიკურ ჭადრაკში საუკეთესო ფიდეს აქტიური რეიტინგის მქონე 1-5 მოჭადრაკეს (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

5.4.მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/qRrakYuxNiTgbmgn7

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 24 იანვარი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

5.5. მონაწილეთა ცხოვრების, კვების, გზის და სატურნირო შესატანის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

6. ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	25 იანვარი	
გახსნა / მისალმება	26 იანვარი	14:45
I ტური	26 იანვარი	15:00
II ტური	26 იანვარი	16:15
III ტური	26 იანვარი	17:30
IV ტური	27 იანვარი	15:00
V ტური	27 იანვარი	16:15
VI ტური	27 იანვარი	17:30
VII ტური	28 იანვარი	15:00
VIII ტური	28 იანვარი	16:15
IX ტური	28 იანვარი	17:30
დახურვა	28 იანვარი	18:30

7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

7.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

ბ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

გ) ურთიერთშორის შეხვედრა;

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

7.2. ღია და ქალთა ტურნირებში 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 2023 წლის მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატზე სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში.

7.3. ღია და ქალთა ტურნირებში I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან ნანა იოსელიანის სახელობის თასით, მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;

II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;

8. საპრიზო ფონდი:

8.1. ფულადი პრიზი - 8000 ლარი:

ტურნირი	1	2	3	4	5
ღია ტურნირი	1500	1000	700	500	300
ქალთა ტურნირი	1500	1000	700	500	300

8.2. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

8.3. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.

8.4. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

9. საერთო წესები:

9.1. ღონისძიება ტარდება ფიდეს სამართლიანი თამაშის წესების და დებულებების შესაბამისად. წესების დარღვევის შემთხვევაში, საკითხი რეაგირებისთვის გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ეთიკისა და სამართლიანი თამაშის წესების დაცვის კომისიას.

9.2. ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი